გამოცემა „ინებეთ ხურდა“ – სი № 1

კალანდა

(ეთნოგრაფ. სურათი)
გურიის ცხოვრებიდან.

შედგენილი
მესხი კონსტანტინე გვარამაძისაგან.

ქ. ახალციხე
1907 წ.
სტამბა მარტიროს მარტიროსიანცისა.

კალანდა [1)]

(სურათი გურიის ცხოვრებიდან)

I

კალანდა და აღდგომა მაშინ გამიხარდება, ჩემო ბატონო, რომ ბაღნები კარგათ მეყოლება, თვარა ბაღნები თუ არ მეყოლება, ნურამც გამთენებიაო, კი!..

გულნაკლულათ იტყოდა ირინე, იესსე ჭრიახაძის მეუღლე, როდესაც კაი დღეების მოლოდინში, მეზობელი ქალები მასაც გაუზიარებდენ თავიანთ საამო აზრებსა, და ირინე კი, თავისი უხასიათო და ანჩხლი ქმრის გამო, უკმაყოფილებას უცხადებდა იმ დროს თვალებიდან ცრემლებსაც აფრქვევდა... ეტყობოდა, დიდი გულნატკენი უნდა ყოფილიყო ქმრისაგან.

იესსე ჭრიახაძე, ეკუთნოდა ბუნებითად დაჯილდოებული გურიის ერთერთს, საუკეთესო სოფელს მ.–ს, რომლის მკვიდრნი

1) კალანდა, წლისთავს უწოდებენ გურულები.

მამაპაპურს ჩვეულებაებს მცნებასავით ასრულე-
ბდენ თავიანთს მშვიდობიანს სიცოცხლეში;

62 წლის მოხუცი იესსე კი, ბევრათ
ჩამორჩებოდა თავის მეზობლებსა; რაც ხანში
შედიოდა იგი, იმდენი უზნეურდებოდა ხოლმე
თავისი ანჩხლი ხასიათისა გამო თავსაც ვნებდა და
ცოლშვილსაც აწუხებდა... იმისთვის სულ უბრა-
ლო მიზეზიც საკმარისი იყო გასაანჩხლებლათ;
განრისხებული, მაშინათვე დაიჩოქებდა, თა-
ვიდან კაბალახს გადიძრობდა, ხელებს მაღლა
აღაპყრობდა და შეეხვეწებოდა: „წმიდაო გი-
ორგი, ლომის კარელო, შენი სახელის ჭირი-
მე!.. ვინც მე ტყულაი მამჯავრებდეს და მა-
წუხებდეს, შეაწუხე იგი და მოსპე... ნუ
გააგნებ ზეიზერ, ისთე მოუმჩქვლიე მას კისე-
რი, მეც რომ კარგათ ვყოფილიყვე?..

ასეთს ყრალს გადაცემაზედ ირინეც-აენ-
თებოდა და მაშინათვე თით-გაწვდილი მაწყე-
ვარსვე თავსა ანიშნებდა:

– შენ, შენ... შენ, მოგივიდა მაი წყევ-
ლა და გაგცვითა წმიდა გიორგიმ და მაცხო-
ვარმან ღვთისმშობლის დედამარიამის წყა-
ლობითა, შე ბერახუა, შენაო...

ეტყოდა გაბრაზებული, და მაშინ აუტყდე-
ბოდათ გაუთავებელი წყენაც.

ოცდა ხუთმეტი წლის კიდევ ახალგაზდა
ირინე, ისე დააზაფრიანა ქმრის უხასიათობამ,
რომ ძვალტყავათ გადააქცია და დაასნეულა საბ-
რალო ქალი; ცოტა საწყენიკკი შლიდა იმის და-
სუსტებულს ორგანიზმსა, ისე დაანერვიანა...
ერთი კარგი თვისებაცა ჰქონდა შეგნე-
ბულს ირინესა, რითაც თავს ისულდგმულებდა
ხოლმე; ისე წაიყრუებღა თავსა, ვითომც არა
გაუგონია რა ქმრის წყევლისაო.

– ვინც იცის, რა პირზედ და მთვარეზედ
შეხვდება, „კოკა მუდამ წყალს არ ზიდამს,“
ერთხელაც არის ახთება წყევლა; ფიქრობდა
თავისთვის დაზაფრიანებული ირინე, რომელსაც
ძალიან ეშინოდა გადაცემისა.

ხშირად თავის შვილებსაც არიგებდა
მშვიდობის მოყვარე ირინე, რომ თავიანთი
ანჩხლი მამა არ აემიზეზებიათ ხოლმე.

II

ქრისტიშობისთვე ისე დაილია, რომ
ზამთრისა ნიშანწყალი სრულიად არ დასტყო-

ბია გურიის ბუნებასა; დარი, წვიმა, და ზო-
მიერი სითბოები, რასაც შქერის, იელის და
წყავის მუდმივი მწვანე ფოთლები დიდათ
ხელს უწყობდა, ზაფხულს უფრო წარმოადგე-
ნდა, ვიდრე ზამთარსა; მაღალი, თხემლას
ხეებზედ ახვეული მწვანე სუროს დაქანძული
შავი ნაყოფის მსუქანი მტევნები ხომ რთვე-
ლის ჩხავერს (ყურძენია) მოგაგონებდათ, და
„ეკალას“ წითელი, ლამაზი კურკანტელი მაი-
სის ალუბალსა... ერთი სიტყვით, ზამთარი
ზაფხულობდა...

საზოგადოთ, გურულს არ ეამება შობა-
კალანდა-ნათლიღებას თუ ადგილობრივი
მშვენიერი ტყიანი ბუნება თოვლით
არ მოისპეტაკება; უთოვლობისგამოკი, ხშირათ
საყვედურობს, იგი: „წროულს, ვერაფერი.
კალანდა დაგვიდგაო...“ თითქოს, ახლაც
მზათ იყო ასეთი საყვედურების თქმისა
რომ უკანასკნელს ჰაერის ცვლილებას,
ხელი არ შეეშალა ამისთვის...

თვის დამლევს, რომელსაც გურიაში
„ცხემლაჭრა-ს“ ეძახიან, დილიდგანვე, დაჰ-
ბერა „ლხინო“-ს მთის წვერებიდგან ცივმა
ქარმა; დაღრუბლა და დაიწყო ბარდნა; საა-
თნახევარში ადლი თოვლი დასდო.

– აგია, აგი, – დადგა სამოყვრო დარი!!.
დასძახეს მხიარულათ გურულებმა და შეუდ-
გნენ საკალანდო თადარიგსა.

III

– მნეი... ნეეი... ნეეეი!.. მწ... მწ...
მწ!.. ღიტ, ღიტ!!!.

– გაისმა ხმა დილის ფიფქვს თოვლში, იე-
სსეს ოდის უკანა, სადაც თხელი ჩითის კაბის
ამარა, ფეხშიშველა, 12 წლის თეფრონია
(იესსეს ქალიშვილი) კალათით ხელში, სიმინ-
დის ჩხარუნით, დისაკლავს ღორებს უხმობდა,
რათა შეუტყუებია საღორეში... ირინე „სასუ-
ქში“ ქათმებს არჩევდა დასაკლავათა; იესსე
კი გაძრიელებულ ცეცხლზედ წყლიანს კარ-
დლებს ჰკიდებდა მათ გასაფუფქათა. რა მოი-
თავეს საკლავი – ნამცხვრების ცხობას შეუდგენ;
ერთიმეორის მიხმარებით ოჯახის უფროსებმა,
მალე ათი-თორმეტი ხაჭაპური მოზილეს და
გამოაცხეს, მაგ.: სულზედ თითო, – „საკალან-
დო“, „დედო ხაჭაპური“, ანუ „საფერხავი“,

„საჩიჩილაკე“, „სააგუნაო“, „საიმვახშმო სალოცავი“ და „საცხემლიჭრო“...

დილიდანვე, კოწია (იესსეს უფროსი, 20 წლის ვაჟი; ორიც წვრილი ჰყავდა, 8 წ. ვანიე და 5 წლისა პეტრიე,) ქედის ტყეში გააქციეს „ჩიჩალაკი“-ს მოსათალათა; შემდეგ კი ოზურგეთში, – საკალანდო საჭიროებისთვის საყიდლადა. იმ დღესვე, მიასწორ მოასწორეს წვრიმალი ვალებიც, რომ ახალნაკალენდევი-სათვის არ დარჩენოდათ გადასახადი, რათა შემდეგ ხელს არ გადაჰყოლოდა...

საღამოს, ნათელბნელში „ცხემლა“ც მო-სჭრეს, დააპეს და ოდის ასავალ კარებთან დათაკრეს დილისთვის დასაწვავათ; მერმე, ვახშმის მზადებას შეუდგენ... მთელ დღეს ოჯახის უფროსებს და უფროს ქალ-ვაჟს, არ შეუსვენიათ სასაქმოდან. პატარა ვანიე და პეტრიეც კი დილიდან საღამომდის თოვლში შეუსვენლათ იგანგლებოდენ და თამაშობდენ ცალკე თოვლისა და ცალკე კალანდის სიხა-რულითა. ხშირათ, სამზარეულოშიაც შერბიგა-რბოდენ, ხან ცეცხლზედ სათბობათა და ხან საკალანდო სამზადისის საალერსოთა; მარა უფროსნი უწყრებოდენ, რომელთაც ხელს უშლიდენ... მაშინ ყმაწვილებიც გარეთ თო-ვლსა აშურებდენ ხოლმე ჟივილ-ხივილითა.

„ცხემლიჭრა“ გურულებისთვის დიდი და საამო საგრძნობელი იყო... ირინესაც, ისე კარგათ არადროს არ უგრძვნია თავი, როგორც იმ დღეს; მას უხაროდა ის, რომ შვილებისათვის საკალანდო სამზადისი უხვათ ჰქონდა, ზედმეტათ კი ახალისებდა ქმრისაგან იმ დღეის შვილების გადაუცემლობა.

იმ ღამეს, დიდებული ვახშამი მოამზადეს, ილოცეს და შეექცენ გემრიელათა.

IV

ნავახშმევს, უფროსნი „გასალოცავი საფერხავის“ და უნცროსი ჩიჩალაკის მართვა გაწყობას შეუდგენ... ყველას კმაყოფილება ეტყობოდათ სახეებზედ.

უფროსებმა, „ხელგობა“-ზედ დასდვეს „დედოხაჭაპური“, და ზედ „ნაზარდი“-ს თავი წამოაყუყეს, გვერდზედ, საინით სიმინდ-ღომი დაუდგეს, რაშიაც ერთი კვერცხიც ჩაფლეს; მეორე საინით ოქრო ვერცხლის ნივთები და

რამდენიმე გროშიც მოათავსეს სანთელ-საკმე-
ლითურთ, და სტოლზედ ისე დასდგეს დილისა-
თვის გასალოცათა. საკალანდო ღვინოც მიუდგეს.
ყმაწვილებმაკი შემდეგით მორთეს ჩიჩა-
ლაკი, რომელსაც გარშემო ბუზივით შემოხვეო-
დენ. აშინშხლულს თასმებზედ ჯერ ჩამოჰკიდეს
კამფეთები. რასაც სურო-კურკანტალი ამშვენიე-
რებდა. – წვეროზედ, ჯვარედინათი წაწვეტინე-
ბულ ჩხირებზედ დააცვეს: საჩიჩილაკე ხაჭა-
პური, ფორთოხალი, ვაშლი და ბროწეული.
ზემოდან კი აბრეშუმის ბოწოწოები მოაფი-
ნეს და საფერხავთან ისრე დააყუდეს მოწყობილი
„ბასილას წვერი...“
– რალამაზად უხდება, ნენავ, სუროკურკან-
ტალი!.. – შეხარბებით წამოიძახა თეფრონიამ,
როდესაც ბავშები ჩიჩალაკსა რთობდენ, იმდროს
დედასკი ყურადღება არცკი მიუქცევია ქალი-
შვილის ლაპარაკისათვის, „საფერხავის“
გაწყობაში გართულსა. – აი კამფეთები ჩემია
ხომ, თეფრონია, – შეხარბებით წამოიხმაურა
ხრიწიანის ხმით ვანიემ, რომელსაც ეტყო-
ბოდა ძილი მორეოდა.
– ალლა, ცემია... – სწრაფლ დაეპატრონა თვალ
დახუჭული პეტრიე, რომელსაც ძილში ჩასმე-
ნოდა და ატირდა კიდეც იატაკზე გაგორებუ-
ლი ბავშვი.
– არა, შენია, ნენავ, შენი, – სწრაფლ მიაძახა
გასაჩუმებლად დედამ, და ადგა კიდეც
ქვეშაგებლის დასაგებათ, რომელიც ის
იყო მორჩენილიყო საფერხავის
გაწყობასა.
– რეიზა ტანთ არ დააძრობ, მაგ ბაღნებსა,
ცავ, საცოდავათ რომ დაყრილი არიან პოლზედ
და დასძინებიან... რა ხანია, თუ იცი მამა-
ლმაც იყივლა!.. თან ეუბნეოდა იგი თებრო-
ნიასა... – თებრონიამ წამზედ აასრულა
დედის ბძანება და წამოხტა, სწრაფათ დააძრო
ტანთ, ჯერ პეტრიესა, შემდეგ ვანიესა და
ორთავ ბავშვები შეაგორა ქვეშაგებელში.
– შენ, რაღას უყურებ კოწიავ, იალო-
ნზედ ასადგომი ხართ, ადე-ზედ, დაწევი!..
მიუბრუნდა უფროს ვაჟსაც დედა, როდესაც
ქვეშაგებლების დაგება მოითავა.
– პაწაი მაცადეთ, ოჯო! – მიუგო პა-
სუხათ დედას კოწიამა. რომელიც ჩიჩალაკის
გაწყობას მორჩენილიყო და თოფსა სწმენდა-
ვდა დილისათვის სასროლათა.

ამის შემდეგ, დიდი ხანი აღარ გაუვ-
ლია, რომ იესსეს ოჯახობაც მეზობლებთან
ერთათ ღამის განსვენებას მიეცა.

V

გათენდა. ცა ლურჯათ მოკრიალებული-
ყო და ყინავდა. დილაბნელს, როდესაც
ცისკარი კიდევ ჰქრთიდა და რიჟრაჟის ძალა
კი ამქრალებდა მას, იმ დროს, ყველა გუ-
რული გალოცვაზედ იდგა და დიდებულს მა-
მა პაპურს ჩვეულებას, მხიარულათ ასრულებ-
და; ყოველგან თოფების გრიალი ისმოდა.

იესსე ჭრიახაძეც თავისი შვილებითურთ,
გამოსულიყო გარეთ, ყინვაში, მარანზედ და
კაბალახგადამძვრალი მისჩოქოდა სანთლებით
გაბუღვრიალებულს საფერხავს და ილოცვიდა
ჭურისთავზედ: ცალ ხელში სანთლები ეჭი-
რა, როგორც ყმაწვილებსა, და მეორე ხელით
კი საფერხავზე ყველაფერს აბრუნებდა ნიშნათ
კეთილი წელიწადის მობრუნებისა, შემდეგი
სიტყვებითა: „წმიდაო ბასილე მამამთავარო,
შენი სახელის ჭირიმე, მშვიდობით მომივლი-
ნე მრავალი ამისთანა კალანდა, ჩემი ბაღნების
და ქალის სიცოცხლითა და კარგათ ყოფნი-
თა, მომეცი შენი წყალობა ბრევლი – ყოვე-
ლიფერი... გვაჭამე მშვიდობით, სიკვდილით
რო არა გაგვჭირებოდეს რაო... აღმიზარდე
ჩემი ბაღნებიც კარგი ნასტავლი და სტუდე-
ნტები!!.

იმ დროს თან საკმელიც დააკმია,
შვილებსაც დააკმევია „ნატეხარაზედ“ ყინვისა-
გან წითლით გაჯერებულს ნაკვერცხალზედ,
და ხუთიოდე წამის შემდეგ პროცესია გაემა-
რთა სახლისაკენ, რომელიც ათიხუთმეტი ნა-
ბიჯით მოშორებულიყო. წინ, პეტრიე და
ვანიე ჩიჩალაკით ხელში მიამსხვრევდენ გაყი-
ნულ თოვლსა, რომელნიც თან თვალიდგან
დილის სუსხში ცრემლებს აფრქვევდენ შეცი-
ებულნი; მათ, უკან, მისდევდა საფერხავით
ხელში იესსე, და თან უწყრებოდა, რომ არ
ეტირათ ბავშვებსა, რომელიც თან არწმუნე-
ბდა, კალანდას არ ვარგა ტირილიო...
მას გვერდით, მისდევდა თოფით და ლაგი-
ნაით ხელში კოწია, რომელიც მალ მალ შე
სჭყეროდა წვერთეთრსა მისი სასოებიანი
ლოცვის გამო, რომელიც თან ფიქრობდა თა-

ვისთვინ; ე აშენებული შვილი, რაღაიზა იწყე-
ვლება ხოლმე, როდესაც ამისთანა ლოცვა
კი შესძლებიაო...

– კარი გაგვიღეთ, დაუძახა პროცესიამ,
როდესაც მიადგა სახლსა, და კარი და-
კეტილი დახვდათ.

– რა მოგაქვთ? – გამოსძახეს ოთახიდან
ქალებმა ირინემ და თებრონიამა.

– წმიდა ბასილე მამამთავარი მობძან-
დება, დაიწყო და თანაგრძნობითვე განაგრძო
მოხუცმა იესსემ: – თან მოაქვს ღმერთის
და ხელმწიფის 1) წყალობა!.. თეთრი და საქო-
ნელი, ოქრო და ვერცხლი ბროველი და, ნა-
მუშიერი მრავალი; ასი ურემი სიმინდი, ორა-
სი ბეღელი ღომი; სამასი ჭური ღვინო, ჯო-
გათ ძროხა-ხარი, ცხრა ბედაური ცხენი, ცხ-
რა ბედაური ქორი, ბროველი ყოველიფერი,
კარი გაგვიღეთ?!.

სამჯერ გაიმეორეს ასე, და ბოლოს გაუ-
ღეს კარი. პროცესია რომ შევიდა წყობრივ,
კარებთან ქალები დახვდენ, რომელთაც კალ-
თებზედ ხელებს ახებდენ და თან ულოცავ-
დენ: მრავალ კალანდას დაესწარით მშვიდო-
ბით, სიკტილით რომ არა გაგჭირებოდესთო.
სამაგიეროთ, დამხდურნიც ულოცავდენ. პრო-
ცესიამ სამჯერ შემოუარა ოთახში და ბო-
ლოს საფერხავი და ჩიჩალაკი სტოლზედ მო-
ათავსა. საფერხავიდან იესსემ აიღო ღომი

---

1) მხოლოთ ახლაკი ვერაფერ წყალობას (ას. ამწყ.)

და სიმინდი; ჯერ ოთახში და შემდეგ გარეთ,
სამზარეულოში და ეზოში, მოაბნია შემდეგი
სიტყვებით; გვიმრავლე ქათამ-ბატი და ნა-
მუშიერიო... შემობრუნებულმა კი წინღამით
დაპობილი ცხემლის შეშები შემოიტანა ოთა-
ხში და ბუხარში1) ცეცხლი გააძრიელა შემდე-
გი სიტყვებით; შენც ბრევლი კალანდა მოგი-
ბრუნოს მშვიდობითა, ჩვენი სიცოცხლითაო...
დანარჩენებმა, თითო ოროლა ნაპობი ამ რიგათ
დაამატეს და თოფიც დააგრიალა ბალკონზედ
კოწიამ ნიშნათ გალოცვისა.

შემდეგ ირინემ, საფერხავიდან აალაგა
ნივთები და ყველა თავის ადგილას შეინახა;
და შემდეგ შეუდგა ტანთ ჩაცმას, ეკკლესია-
ზედ წასასვლელადა. იესსე ძროხებისათვის
ჩალის მისართმევად გავიდა, და რო მობრუნდა,

კოწია კიდევ თოფს ისროდა, რომელსაც ბავ-
შვები შემოხვეოდა გარსა... იესსე კიბეზედ
რო ამოვიდა, უცბათ თოფის კონდახი მოარ-
ტყა ყბაში მობრუნებულზე კოწიამა;
ამაზედ, იესსემ იჭექა საშინელათ,
წამოავლო ნაპობს ცხემლას ხელი და გამოე-
კიდა შვილსა, რომელიც ოთახში შევარდა.

---

1) ცეცხლ თაყვანის მცემელდროდან დარჩენილა.

– მოგხთა ყბაში ტყვია და მწყერსავით
გაგაგდებია სული, შე მამაძაღლო, შენა... ო
– უძახოდა თან იგი. – თოფით კოწიამ ოთახ-
ში შევარდნა მოასწრო, სადაც დედა დახვდა
განმზადებული, საყდარზე წასასვლელად; ის
მაწყევარს გადაეღობა წინ, სასწრაფოთ აართვა
ხელში ნაპობი შეშა, და შემდეგ კი
კინაღამ ჯავრისაგან ძირს არ დაეცა. კოწია
განისკარიდან გადახტა და საყდრისაკენ გას-
წია. ირინემ კი თვალთაგან გადმოუშვა ღვაპ-
ღვაპათ ცრემლები...

– რას შრობი, ნენავ, არ წავიღეთ სა-
ყდარზედ... – ადე, ზედ... ეჯიჯინებოდენ მო-
რთულმოკმაზული ბავშვები დედასა, რომელსაც
თავზედ ხელი შემოედო კარებში ჩამჯდარ-
სა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა.

VI

წირვა დასრულდა. მორთულ მოკმაზული
ხალხი ეკკლესიის ეზოში მხიარულათ პროშ-
ტავდენ ერთმანეთს და დღესასწაულს ულო-
ცამდენ.

მალე მოწიფული ყმაწვილები ეზოს
გადაღმა მინდორზე „შედლუხს“ მიეცნენ. ერთ
მხარეს ზეგნიერები, მეორეს – დაბლიერები
თოფით ხელში; იმათ, მაღლა ჰაერში, რიგით
დაიწყეს სროლა. ხალხი სეირათ გადაიქცა.

– გაჯობეთ ხომ, ზეგნიერებო, აჯავრებ-
დენ თან სროლაში, დაბლიერები. – რაფერ,
წამალი რო გამოგელით მიზა გვაჯობეთ თუ!..
– პასუხობდენ ზეგნიერები და უხშირებდენ
სროლას.

ხალხის სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონ-
და. პატარა ხანს კიდევ და, ხალხის უსაზღვრო
სიამოვნება, და თოფის სროლა, – წივილ-კივი-
ლზედ შეიცვალა.

ვიღაც ყმაწვილკაცმა, მალე, მის წინ
მდგარ ჩქოლაზე გადმოქიმა თავი და სასიკვ-
დილოთ ღაბავდა პირსა. ეს გახლდათ კოწია,
იესსე ჭრიახაძის უფროსი ვაჟი, რომელსაც
ყბაში მოხვდენოდა უცბათ ვინცღას გასროლი-
ლი ტყვია.

როდესაც ჯალამბერით მიასვენეს სახლში
და დედამ დაინახა მოკლული შვილი, – უგრ-
ძნობლათ დაეცა და ენა ჩაუვარდა; გრძნო-
ბა მიხდილი, სუნებლებით და წყლის შე-
შხებით ძლივს მოიყვანეს გონსა, მარა ენა კი
ვერ ამოადგმევინეს. მოგრძნობიერებულს სუ-
რდა საჯაროთ გაემჟღავნებია ქმრის, საიდუმ-
ლოება, რომელიც მას სტანჯავდა ის ნაკ-
ლი, რითაც მას შვილი მოუკვდა;
მარა ენა არ ემორჩილებოდა, რის გამო ისეც გა-
მწარებული ქალი ლიღლიღით შეწუხდა უფრო.

ადგა, ვანიეს საწიგნედგან ამოიღო მან
ქაღალდ-საწერი, რაზედაც შემდეგი სიტყვე-
ბი დასწერა: „ბატონებო! დღეს, დილას, აილ-
ონზედ, ჩემმა მაწყევარმა ქმარმა გადამიცა სა-
სიკეთოთ მოსწრებული შვილი, შემდეგი სიტ-
ყვებით: „მოგხთა ყბაში ტყვია, და გაგაგდებია
მწყერსავით სულიო“!.. რაიცა ასრულდა.

დამსწრენი დიდათ შეაშფოთა ამ წერილმა.
ყველამ ერთხმივ დაიძახა მწუხარე ხმითა: დას-
ტურ, „კვიმატ დღეს არ გადიცემა მიყვასიო!..“

მესხი კონსტანტინე გვარამაძე

აპრ. 15-სა, 1902 წელსა
კოლონია ბლიუმენ-ფელდი (ხერს. გუბ.)

---

r. s სიტყვების ახსნა გარეფოთოლზედ

ზოგიერთი სიტყვის ახსნა:

ბასილას წვერი – ჩიჩალაკს ეძახიან.

კარდალი – დიდი ქვაბია.

ლაგინა – პატარა დოქი.

ლომის კარელი – ძრიელი ხატია გურიაში.

ნაზარდი – მოზდილი გოჭი.

ნატეხარა – ქოთნის ნატეხი (ნაკვერცხალის
დასაყრელი).

„სააგუნაო“ – აგუნაზე გასალოცი, აგონი გამა-
რთობი ღმერთი კერპობის დროიდან; ამას

დღესასწაულობენ გურულები ახალწლის საღა-
მოს.

სასუქი – მოღობილი ძაროა გასასუქებელი ქათმების დასანწყვრევათ.

საკალანდო ღვინო – საუკეთესო, თავი ღვინო.

ფიფქი თოვლი – ახალი ნათოვლი.

შედლუღი – თოფების სიმრავლით აღმა, წყ-
ობრი სროლა.

ჩიჩალაკი – თხილის შტოა სიგძით 1½ არშ., რომელსაც ერთი თავიდან მეორე წვერამდის მახვილ დანით ზოღებსავით ათლიან; ანათა-
ლი წვერსავით დაეფინება. ამას წა. ბასილის წვერის მოსაგონებლად ამზადებენ.

ჩქოლა – ახალგაზდა ბუჩქი.

წმ. ბასილიმამამთავარი – ღორების მცველია. ისყიდება ყველგან, წიგნის მაღაზია.

სტანტინე გვარამაძის შემდეგი წიგნსაკერი.

სტანტინე გვარამაძის შემდეგი

1) გამიჯნურებული ქალვაჟის ლექსი . 5 კაპ.
2) მესხური ლექსები . . . . 5 –
3) ათას ცხრაასი წლის სახსოვარი . . 5 –
4) ანდაზები და გამოცანები (ნაწ. 1-ლი) . 10 –
5) აბესალომ და ეთერი . . . 5 –
6) მგზავრი ამხანაგი (путеводитель) . 10 –
7) სარკე გურულთა ცხოვრებისა . . 5 –
8) როპპის მოგზაურობა საქართველოში . 30 –
9) თამრო ჰარამ-ხანაში . . . 20 –
10) იაკ. იოს.-ძე ლაზარაშვილი . . 10 –
11) სარტო, რომის პაპი (სურათი) . . 5 –
12) ბათომის ქართ. კათ. ეკკლესია ფ. ბლ. 3 –
13) კალანდა . . . . . 5 –
14) ნაღდზედ მყიდველი 30% დაეთმობათ

უმთავრესი საწყობი ავტორთანაა, ახალციხეში.

მომზადებულია დასაბეჭდათ გვარამაძისვე ნაწერები:

1) მოღალატენი, (მოთხრ.) გურიის ცხოვრებიდან.
2) ბედკრული ოჯახი, (მოთ.) სამესხეთოს ცხოვ.
3) უდანაშაულო მსხვერპლები, (მოთ.) გურ. ცხოვ.
4) გაჰაიასტანებული საქართველო, კრიტიკ. მიმოხ.
5) გურული სიტყვათა ლეკსიკონი
6) ნაკადული, (თარგ.) კავკასიელთა ცხოვრებიდან.
7) თავისუფლებისათვის წამებულნი (რევოლიუც.)